1244318775659
www.info.court.ge

№3/1012-14

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

12 ივნისი, 2014 წელი ქ. თბილისი

შ ე ს ა ვ ა ლ ი ნ ა წ ი ლ ი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე მირანდა ერემაძე
სხდომის მდივანი ნინო სახელაშვილი

მოსარჩელე - სს ფირმა ,,ასფალტ-ბეტონი"
წარმომადგენლები - თამარ ნონიაშვილი, ვლადიმერ ყურყაციშვილი

მოპასუხე - ქალაქ თბილისის საკრებულო
წარმომადგენელი - ფატმან ნიშნიანიძე

მესამე პირები - შპს ,,ბგპ" სულაკაური (ს.ა.ს.კ მე-16 მუხლის მეორე ნაწილი, 2014 წლის 12 ივნისის საოქმო განჩინება)
წარმომადგენელი - სოფიო ნატროშვილი, გიორგი სარაჯიშვილი

ბაკურ სულაკაური (ს.ა.ს.კ მე-16 მუხლის მეორე ნაწილი, 2014 წლის 22 აპრილის საქომო განჩინება)

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის №20-56 გადაწყვეტილება ქ. თბილისში, კაიროს ქ.№42-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ობიექტის სამრეწველო ზონა-1-ის საცხოვრებელი ზონა-6-ით ცვლილების თანხმობის მიცემის ნაწილში.

2. მოპასუხის პოზიცია:

2.1. ქალაქ თბილისის საკრებულოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და განმარტა,

რომ სადავო აქტი გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

3. მესამე პირების პოზიცია:

3.1. მესამე პირმა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ქალაქ თბილისში, კაიროს ქ. №40-ში მდებარე 4600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (საკადასტრო კოდი №01.19.21.002.196) რეგისტრირებულია სს ფირმა ,,ასფალტ-ბეტონის" საკუთრების უფლება.
სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჯარო რეესტრის ამონაწერი (ს.ფ. 15-16);
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი (ს.ფ. 18-19).

4.1.2. 2010 წლის 31 აგვისტოს ეკოლოგიური ექსპერტიზის №60 დასკვნის თანახმად, სს ფირმა ,,ასფალტ-ბეტონს" მოქმედების არეალი საცხოვრებელი ზონიდან განსაზღვრული აქვს 70 მეტრის დაშორებით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2010 წლის 31 აგვისტოს ეკოლოგიური ექსპერტიზის №60 დასკვნა (ს.ფ. 20-25).

4.1.3. ქ. თბილისში, კაიროს ქ. №42-ში 1394 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (საკადასტრო კოდი №01.19.22.008.065) რეგისტრირებულია შპს ,,ბგპ"-ს საკუთრების უფლება, რომლის დირექტორად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად რეგისტრირებულია ბაკურ სულაკაური.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- საჯარო რეესტრის ამონაწერი (ს.ფ. 29-30);
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერი (ს.ფ. 31-32).

4.1.4. ზონალური საბჭოს 20.11.2013წ. გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 28.11.2013წ. №47 სხდომის ოქმით (26-ე საკითხი) თანხმობა მიეცა ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქ. №42-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.19.22.008.065) ფუნქციური ზონის სახეობა სამრეწველო ზონა 1-ის, საცხოვრებელი ზონა 6-ით შეცვლის თაობაზე და რეკომენდაცია გაეწია ქ. თბილისის მერს, აღნიშნული საკითხი განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის საკრებულოსთვის.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ზონალური საბჭოს 20.11.2013წ. გადაწყვეტილება (ს.ფ. 75-76);
- ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის №47 სხდომის ოქმი (ს.ფ. 33-36).

4.1.5. ,,დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა ქ. თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის №20-56 გადაწყვეტილებით და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კაიროს ქ. №42-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.19.22.008.065) ფუნქციური ზონის სახეობა სამრეწველო ზონა 1 შეიცვალა საცხოვრებელი ზონა 6-ით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის №20-56 გადაწყვეტილება (ს.ფ.40);
- განმარტებითი ბარათი (ს.ფ.41-44).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა:

6.1 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
6.2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";

6.3. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6.4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
6.5. 2009 წლის 5 ივნისის ქალაქ თბილისის საკრებულოს 6–17 გადაწყვეტილება, ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'';
6.6. ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილება;
6.7. ქალაქ თბილისის მერის 2008 წლის 15 ოქტომბრის №54 ბრძანებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დებულება.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1. საქართველო სადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ემუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გათილად ცნობის მოთხოვნით.

7.2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,დ'' პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ.

აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტს.

7.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ,,1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. 2. დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.'' ამავე კოდექსის 52-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ,,ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მტკიცი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.''

7.4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად. აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საქმეზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

7.4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონითა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამავე კანონის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ი“ და „ს“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება.

7.5. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–9[1] მუხლის შესაბამისად დედაქალაქის უფლებამოსილებას ამავე მუხლით დადგენილი უფლებამოსილებების გარდა წარმოადგენს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი უფლებამოსილებები. ამავე კანონის მე–12 მუხლის „კ“ პუნქტით თბილისის თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებაა ქალაქ თბილისის მერის წარდგინებით დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება. ვიდრე ქ. თბილისის მერიიდან მოხდება საკითხის წარდგენა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე განსახილველი საკითხები განიხილება ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე. კომისია წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერის სათათბირო-საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც თავის მუშაობას წარმართავს საქართველოსა და ქალაქ თბილისში მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

„ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2008 წლის 15 ოქტომბრის #54 ბრძანების მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით კომისიის უფლებამოსილებას წარმოადგენს მიწათსარგებლობის უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისთვის საკრებულოების გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება, თვითმმართველობის ორგანოს შესაბამის სამსახურთან ერთად; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების ან მათი ნაწილების დამტკიცების თაობაზე თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება; უფლებრივი ზონირების რუკების დამტკიცებისათვის ქალაქ თბილისის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მერიის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება; დასახლებათა ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით წინადადებების განხილვა. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. კომისიის შემადგენლობა ძირითადად განისაზღვრება არქიტექტორებისა და ურბანისტების შემადგენლობით ე.ი. იმ დარგის სპეციალისტებით რომლის რეგულირებასაც ახდენს დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა. გენ-გეგმაში ცვლილებების განხორციელების პროცესში საკითხები ასევე კომისიურად განიხილება ქ. თბილისის საკრებულოში და მათი დასკვის გათვალისწინებით განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს მთავარ სხდომაზე.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას წარმოადგენს დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცება, რაც განხორციელდა კიდეც 2009 წლის 5 ივნისის ქალაქ თბილისის საკრებულოს 6–17 გადაწყვეტილების სახით და მასში ცვლილებების განხორციელებაც განეკუთვნება მის უფლებამოსილებას, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის თანახმად „ნორმატიულ აქტში ცვლილების (ცვლილებების) ან/და დამატების (დამატებების)) შეტანა ხდება მხოლოდ იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილ იქნა ცვლილება“.

ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის 6–17 გადაწყვეტილების თანახმად, დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა არის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, საინჟინრო სატრანსპორტო, და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.

ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილების მე–6 მუხლის

შესაბამისად გენერალური გეგმა ტექსტური, საინჟინრო და თემატური ნაწილის გარდა მოიცავს ზონირების ნაწილს – ზონირების ზოგად რუკას, რომლებიც ერთმანეთისაგან განუყოფელია და ერთობლივად არეგულირებენ საკითხს.

დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, დამუშავებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოსალოდნელი ტენდენციების გათვალისწინებით. შესაბამისად, დროთა განმავლობაში მასში ცვლილებების შეტანა და ფუნქციური ზონის ცვლილება სხვა ზონად სრულიად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს და მიზანს. მით უფრო, როდესაც განსახილველ შემთხვევაში წარმოდგენილია ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნა, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნული ტერიტორია აკმაყოფილებს საცხოვრებელი ზონა 6-ის კრიტერიუმებს. საწინააღმდეგო მტკიცებულება, რომ აღნიშნული ტერიტორია მხოლოდ სამრეწველო ზონა 1 უნდა იყოს, არც მოსარჩელე მხარეს წარმოუდგენია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის №20-56 გადაწყვეტილების მიღების პროცედურა დაცულია და შინაარსობრივადაც გამართულია.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოხამსახურეს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამაბათილებელი, საწინააღმდეგო მტკიცებულება,

7.4. სასამართლო აღნიშნავს, რომ ტერიტორია, რომელსაც შეეცვალა ფუნქციური ზონის სახეობა სამრეწველო ზონა 1 საცხოვრებელი ზონა 6-ით მდებარეობს სს ფირმა „ასფალტ-ბეტონის" აღმოსავლეთით, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამხრეთით მდებარეობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები დაახლოებით 22 მეტრის რადიუსში. შესაბამისად, №01.19.22.008.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი არ არის ერთადერთი სს ფირმა „ასფალტ-ბეტონის" მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ზონის სტატუსი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სს ფირმა „ასფალტ-ბეტონის" სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 29 დეკემბრის №20-56 გადაწყვეტილების ქ. თბილისში, ვაროს

ქ.№42-ში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ობიექტის სამრეწველო ზონა-1-ის საცხოვრებელი ზონა-6-ით ცვლილების თანხმობის მიცემის ნაწილში ბათილად ცნობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

8. საპროცესო ხარჯები

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის საკითხს, მოსარჩელეთა მიერ სარჩელის წარდგენის მომენტისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იყო 100 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეთა მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 22-ე და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. 1. სს ფირმა „ასფალტ-ბეტონის" სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

2. სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად,

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) სააპელაციო საჩივრის შემოტანის გზით.

მოსამართლე მირანდა ერემაძე

2.